საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 20 მარტის
დადგენილება № 1473

სტუ-ს სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო
პროგრამებზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2014-2015 სასწავლო წლის II სემესტრიდან ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლოა გადაყვანილ იქნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით ჩარიცხული შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:
   ა) საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების, აგრეთვე საქართველოს ჩემპიონატებისა და უნივერსიადების (სტუ-ს სახელით) მონაწილეები;
   ბ) საქართველოს და სტუ-ს ნაკრებების წევრები;
   გ) სტუ-ს შემოქმედებით და სახელოვნებო წრეებში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსაბლი, კვარტეტი და ა.შ.) გაერთიანებული სტუდენტები;
   დ) თბილისში განლაგებულ დაწესებულებებში, როგორც წესი, პროფილით/სპეციალობით და სხვა სტრუქტურებში (მუნიციპალიტეტებში, სამინისტროებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში) დასაქმებულნი (გარდა სახელმწიფოს მიერ 100%-ით დაფინანსებული პროგრამების სტუდენტებისა), სტუ-ს რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფნი;
   ე) სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და ფაკულტეტების საბჭოების წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები;
   ვ) ჯანმრთელობის პრობლემის მქონენი, ფეხმძიმეები და ორ წლამდე ჩვილების დედები.
2. ფაკულტეტის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, როგორც გამონაკლისი, აკადემიური საბჭოს დადგენილებით პერსონალურად შესაძლებელია სხვა კატეგორიის სტუდენტის გადაყვანა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. სტუდენტმა განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია (ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა №100, მოწმობა, სერტიფიკატი, შესაბამისი ფედერაციის/კლუბის/სტუდიის უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა და ა.შ.; დასაქმებულმა – სამსახურის ცნობა და სახელფასო ამონაწერი ბანკიდან) ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის თაობაზე უნდა წარმოადგინოს სტუ-ს კანცელარიაში სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში. განცხადება გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უზრუნველყოფს მის განხილვას ფაკულტეტის საბჭოზე; დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს ოქმი გადაეცემა უნივერსიტეტის მონიტორინგისა და სწავლების დეპარტამენტებს აკადემიურ საბჭოზე გასატანად.
4. სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის პროცესი, როგორც წესი, უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს მეორე შუალედური გამოცდის (ტესტირების) დაწყებისა.
5. სწავლების დეპარტამენტმა ფაკულტეტების დეკანებთან ერთად უზრუნველყონ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილი სტუდენტების სასწავლო პროცესში ასახვა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე